

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2023	2022
ამონაგები	შენ. #1	8 166 653	6 325 981
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ.#2	(6 491 924)	(5 239 551)
საერთო მოგება	შენ. #3	1 674 729	1 178 336
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ#4	(643 835)	(163 032)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(941 244)	(785 182)
საოპერაციო მოგება		89 650	230 122
მოგება დაბეგვრამდე		89 650	230 122
მოგების გადასახადის ხარჯი		(37 568)	(22 094)
მიმდინარე წლის მოგება	შენ.#6	52 082	208 028
გაუნაწილებელი მოგება წლის		405 298	320 217
დასაწყისში			
ღივიღენდები		(172 421)	(122 947)
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#7	284 959	405 298

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2023	2022
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#8	159 691	99 486
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#9	1 351 078	720 392
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#10	371 609	364 414
სხვა მოთხოვნები, ავანსები		21 564	-
		1 903 942	1 184 292
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		131 177	93 100
არამატერიალური აქტივები		-	-
	შენ.#11	131 177	93 100
სულ აქტივები		2 035 119	1 277 392
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#12	1 750 160	842 114
შრომის ანაზღაურება		-	12 520
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#13	-	17 460
		1 750 160	659 480
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#14	284 959	405 298
		284 959	405 298
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2 035 119	1 277 392

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	8 337 018	6 203 144
გაწეული ხარჯები	(8 304 938)	(6 184 085)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	28 125	34 848
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	60 205	53 907
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	99 486	45 579
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	159 691	99 486
შენ. #15		

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“ (ს/ნ 212920892) დაფუძნებულია 2010 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უაღკოპოლო სასმელებზე საბითუმო ვაჭრობა. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ზ.გამსახურდიას ქ.60. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- ნინო ბერიძე (პ/ნ-60003006406) - საქართველოს მოქალაქე
- თამაზი გუგუშაშვილი (პ/ნ 60001038305) - საქართველოს მოქალაქე
- მამუკა ვაშაკიძე (პ/ნ-60002007692) - საქართველოს მოქალაქე
- პაატა გელაშვილი (პ/ნ-60001093551) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“, ასევე იყენებენ გაყიდვების პროგრამას NGS. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 40 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებულია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან

დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 10-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12

2. კომპიუტერული ტექნიკა 10

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2023	2022
1	პროდუქციის გაყიდვა	7 980 054	6 184 706
2	მომსახურების გაწევა	186 599	141 275
	სულ ამონაგები:	8 166 653	6 325 981

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 7980054 ლარს, ხოლო მომსახურების გაწევა ხორციელდება კომპანიებთან და ამონაგები შესაბამისად შეადგენს 186599 ლარს. სულ 2023 წლის ამონაგებმა შეადგინა 8166653 ლარი. (შენიშვნა #1)

#	დასახელება	2023	2022
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	364 414	278 990
2	მარაგების შესყიდვა	6600670	5 255 971
3	გადამუშავების დანახარჯი	6593475	4 492 379
	საბოლოო მარაგები	371 609	364 414

საწყისი მარაგები 364414 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის ნაშთს, შესყიდული მარაგები ძირითად პროდუქციაზე არის 6600670 ლარი, გადამუშავების დანახარჯი ძირითად პროდუქციაზე არის 6491924 ლარი, ხოლო 101551 ლარი არის კორექტირება და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის პროდუქციის მარაგების ნაშთმა შეადგინა 371609 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2023	2022
1	სულ ამონაგები	8 166 653	6 325 981
2	პროდუქციის თვითღირებულება	(6 491 924)	(5 147 645)
3	საერთო მოგება	1 674 729	1 178 336

სულ ამონაგებმა შეადგინა 8166653 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 6491924 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 1674729 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2023	2022
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	148 527	130 000
2	საპენსიო დანარიცხი	1 977	1 756
3	საკომუნიკაციო	6 063	5 183
4	საკონსულტაციო	4 000	4 000
5	დასუფთავების მოსაკრებელი	560	560
6	საგადასახადო ხარჯი (ქონება)	1909	2 248
7	ცვეთა და ამორტიზაცია	578	639
8	დაზღვევა	5 970	6 108
9	მარკეტინგული კვლევა	461 173	-
10	რეკლამა	500	-
9	სხვა საოპერაციო ხარჯი (საკანცელარიო, ბანკის და ა.შ)	12 581	12 538
10	სულ საოპერაციო ხარჯი	643 835	163 032

მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 643835 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2023	2022
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	452 830	307 765
2	საპენსიო დანარიცხი	6 932	4 172
3	მიწოდების	287 863	247 381
4	საიჯარო ქირა	68 162	57 008
5	საწვავი	114 957	121 033
6	ცვეთა და ამორტიზაცია	10 500	47 823
7	სულ საოპერაციო ხარჯი	941 244	785 182

მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 941 244 ლარი.(შენიშვნა #5)

#	დასახელება	2023	2022
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	89 650	230 122
2	მოგების გადასახადი	(37 568)	(22 094)
3	მოგება/(ზარალი)	52 082	208 028
4	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	52 082	208 028

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 89650 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 37568 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 52082 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2023 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #6)

#	დასახელება	2023	2022
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	405 298	320 217
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	52 082	208 028
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(172 421)	(122 947)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	284 959	405 298

საკუთარი კაპალი წლის დასაწყისში იყო 405298 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 52082 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 172421 ლარით და 2023 წლის ბოლოსათვის შეადგინა 284959 ლარი.(შენიშვნა #7)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2023	2022
1	ფული სალაროში ლარში	24 557	23 212
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	131 252	72 392
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	3 882	3 882
4	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	159 691	99 486

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2023 წელს უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები არ განხორციელებულა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 99486 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 159691 ლარი.(შენიშვნა #8)

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 720392 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 9646437 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 9015751 ლარი და დარჩა მისაღები 1351078 ლარი. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.(შენიშვნა #9)

მარაგები კომპანიაში მოიცავს ორ კომპონენტს პირველი მზა პროდუქცია და მეორე საწვავ-საცხები მასალები. მზა პროდუქცია ჩვენ განვიხილეთ. წლის განმავლობაში მიღებულია 114957 ლარის საწვავ-საცხები მასალა, რომელიც მთლიანად გაიხარჯა და ნაშთი არ დარჩენილა (შენიშვნა #10)

დასახელება	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	არამატერიალური აქტივი	სულ
ნაშთი 31.12.2022	92 546	554		93 100
შემოსვლა	45 754	1 875		47 629
ცვეთა	(10 500)	(578)		(11 078)
კორექტირება	1 526			1 526
ნაშთი 31.12.2023	129 326	1 851	0	131 177

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად სატრანსპორტო საშუალებებით. პარკი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ასევე მოძველებულია კომპიუტერული ტექნიკაც.

არამატერიალურ აქტივებში აღრიცხულია დისტრიბუციის სამუშაო პროგრამა. სულ ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 93100 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 47629 ლარის ძირითადი საშუალება, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 11078 ლარი, დაკორექტირდა 1526 ლარი და 2023 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 131 177 ლარი. (შენიშვნა #11)

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 720392 ლარი, წლის ბოლოსათვის კი შეადგინა 1351078 ლარი.(შენიშვნა #12)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 405298 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 52082 ლარი, გაიცა დივიდენდები 172421 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 284959 ლარი. (შენიშვნა #14)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2023	2022
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	32 080	19 059
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	28 125	34 848
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	60 205	53 907
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	99 486	45 579
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	159 691	99 486

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 99486 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის ზრდა 32080 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან ზრდა 28125 ლარი, შედეგად წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 60205 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 159691 ლარი.(შენიშვნა #15)

დირექტორი:

გიორგი გელაშვილი